



ეშინებულ ვარ და შეძრწუნებულ ვარ,
საყუარელნო, დღისა მისთვის ბოროტისა
და საშინელისა, რად მოწევნად არს ჩუენ
ზედა, ძრის ყოველი გუამი ჩემი, განმიშრა
ენად ჩემი შიშისა მისგან ბოროტისა და სასასა
ჩემსა აექუა. Ծა თუ ვიტყოდი, გან ჭურდების გული
ჩემი და მუცელი, და ზრახვასა ჩემსა ცეცხლი
აღადყდების; იქმნა გული ჩემი, ვითარ ცკლი დად-
ნობილი, შუა მუცელსა ჩემსა. ძელმის მუცელი
ჩემი, გან ჭმეს ნაწლვენი ჩემნი, გან კრომილ არს
გონებად ჩემი, აღძრულ არს სული ჩემი გუამსა
შინა ჩემსა, კუნესიან თირკუმელნი ჩემნი, შეშ-
ფოთებულ და დაკურვებულ და ზარ-ჭდილ არს
ყოველი ცნობად ჩემი.

წეშაპისა მისთვის ვიტყებ, რომელსა ეყულებ-
ის შთათქმად ყოველი სოფელი, რომელი-იგი
მოსლვად არს ძალითა და შეწევნითა ეშმაკისა-
თა ყოვლითა ნიშებითა და სასწაულებითა ტყუ-
ვილისამთა, რომელ-იგი განეშადოს და აზმნეს,
რომელმამცა შთათქა ყოველი სოფელი, რამეთუ
უშჯულოთა მათ ჰურათა პირველად არა შეიწყ-
ნარეს გზად იგი ჭუშმარიტებისად და სიმართლესა
ღმრთისასა არა დაემორჩილნეს, ვითარცა იტყებს:
«თვისთა მოვიდა, და თვისთა არა შეიწყნარეს იგი»
(ინ. 1,11). ცმისთვის მოუვლინოს ღმერთმან
შემწედ საცოტებისა მათისათვის. ქოლო ჩუენ
ამის ყოვლისათვის განგუაკრძალებს მწსნელი და
მაცხოვარი ჩუენი და იტყებს: «იხილეთ, ნუკუე
გაცოტენეს ვინმე თქუენ, რამეთუ მრავალნი მოვი-
დოდიან სახელითა ჩემითა და იტყოდიან, ვითარ მე

ვარ ქრისტი, და მრავალნი აცოტენენ» (მთ. 24,4-5;
მრკ. 13,5-6; ლუკ. 87,8).

ქოლო მე გეტყებთქუენ, საყუარელნო, ვითარცა-
იგი პირველად «ე-ამად-ეამად შეპყვა სიბრძმი ის-
რაელსა» (რომ. 11,25), ვითარცა წმიდა მოციქული
იტყებს, ეგრევე სახედ მოიწიოს ყოველთა ქრისტი-
ანეთა ზედა, და უამად-ეამად შემოჭდეს საცოტერი
სოფელსა შინა, და განქარდეს სარწმუნოებად,
მოოწრდენ ეკლესიანი, დაირღუენ საკურთხეველ-
ნი, შემცირდენ წმიდანი, «და განმრავლებითა მით
უშჯულოებისამთა გან ჭმეს სიყუარული მრავალ-
თავ» (მთ. 24,12). პას უამსა რბილიან ყოველნივე
და ეძიებდენ სიტყუასა ღმრთისასა და არა პპოვებ-
დენ, რამეთუ დაძუელდენ ყოველნი წიგნი, მოის-
რნენ მოძღვარნი, და თუ ვინმე იპოოს მას უამსა
შინა და პმოძღვრიდეს, კაცად-კაცადმან ჭუშმარ-
იტებისაგან სასმენელნი თვისნი გარე-წარიქცინენ
და ზღაპრებასა მიექცნენ.

ქოლო ჩუენდა სიფრთხილმ ჯერ-არს ამას ყო-
ველსა ზედა, ვითარცა წმიდა მოციქული იტყებს
და ტიმოთეს ასწავებს (1 ტიმ. 1,3-6). ქოლო აწ
თქუენ გითხრობ, საყუარელნო, რამეთუ აღდ-
გენ ეპისკოპოსნი ეპისკოპოსთა ზედა, მღდელნი
მღდელთა ზედა, მოწესენი მოწესეთა ზედა, ერნი
ერთა ზედა, ვიდრე სისხლადმდე. ჩუ გიკრნ ესე,
რამეთუ წმიდათა მოციქულთაცა თანა იპოვა შინა-
განმცემელი. პაშინ იყუნენ ბრძოლანი ნათესავთანი
ნათესავთა ზედა, მეფენი მეფეთა ზედა, და იყუნენ
სიყმილნი და სრვანი ადგილდ-ადგილდ. Ծა ესე
ყოველი იყოს (მთ. 24,7-8; მრკ. 13,8; ლუკ. 21,10-11).



* საკითხავი წიგნი ძველ ქართულ ენაში II, გამოსცა ფ. შენაიშვილმა, თბ., 1966. გვ. 45-46.